შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

პროფესიული უნარების ტესტი

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის და ღიადაბოლოებიანი დავალებები (სულ 41 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

დავალება 1

მასწავლებელმა უნდა იზრუნოს, რომ კლასში შექმნას უსაფრთხო გარემო, რომელიც ფიზიკურ და სოციალურ უსაფრთხოებასთან ერთად ინტელექტუალურ უსაფრთხოებასაც გულისხმობს.

ჩამოთვლილთაგან რომელია ინტელექტუალურად უსაფრთხო გარემოსთვის დამახასიათებელი?

ა) მოსწავლის მიერ პასუხის გაცემის დროს შეცდომების დაშვების ლეგიტიმურობა.

ბ) რთული დავალებების მხოლოდ მაღალი მიღწევის მოსწავლეებისათვის მიცემა.

გ) წარმატებული მოსწავლეების დროის ხარჯზე სუსტების დახმარება.

დ) მოსწავლისათვის სწრაფად შესასრულებელი დავალებების მიცემა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 2

ჩამოთვლილთაგან რომელი ინდიკატორი/ინდიკატორები მეტყველებს მასწავლებლის არავერბალურ კომუნიკაციურ უნარებზე?

I. ახსნის დროს მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასასმელად პაუზის გამოყენება.

II. მიწოდებული შინაარსის მიღმა „ნაგულისხმევი აზრის“ გადაცემა ყველასათვის ერთნაირად გასაგებად.

III. გამომეტყველებისა და ჟესტიკულაციის გამოყენება ხმის ტონალობისა და ინტონაციის შესაბამისად.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

დავალება 3

ბრუნერის თეორიის თანახმად, რომელია ის დადებითი მახასიათებელი/მახასიათებლები, რომელიც აღმოჩენებით სწავლას უფრო ეფექტიანს ხდის ტრადიციულ სასწავლო პროცესთან შედარებით?

აღმოჩენებით სწავლა:

I. ავითარებს პრობლემის გადაჭრის უნარს.

II. აადვილებს ინფორმაციის დამახსოვრებას.

III. ზოგავს დროს და აჩქარებს შედეგის მიღწევას.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 4

ბრაზის მართვა ხშირ შემთხვევაში კონფლიქტის თავიდან არიდებაში გვეხმარება.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება დაეხმარება მოსწავლეს **ყველაზე მეტად** ბრაზის დაძლევაში კონფლიქტური სიტუაციის დროს?

ა) მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს, რომ ის მომავალში მაქსიმალურად მოერიდოს მოწინააღმდეგესთან ურთიერთობას.

ბ) მასწავლებელმა უნდა ურჩიოს მოსწავლეს, მოთოკოს ემოციები, გაუღიმოს მოწინააღმდეგეს და უთხრას, რომ ყველაფერი აპატია.

გ) მასწავლებელი უნდა დაინტერესდეს შექმნილი ვითარებით და პრობლემის არსში გასარკვევად ყურადღებით მოუსმინოს მოსწავლეს.

დ) მასწავლებელმა უნდა ურჩიოს მოსწავლეს, რომ გააანალიზოს შექმნილი სიტუაცია და დაფიქრდეს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 5

ჩამოთვლილთაგან რომელ დებულებაშია ასახული სწორად კლასგარეშე აქტივობების გავლენა სასწავლო პროცესზე?

ა) კლასგარეშე აქტივობებში მოსწავლის მონაწილეობა ეხმარება მასწავლებელს განმსაზღვრელი შეფასების დაზუსტებაში.

ბ) კლასგარეშე აქტივობები იმდენად სახალისოა მოსწავლეებისათვის, რომ მათ ინტერესი უნელდებათ ჩვეულებრივი საგაკვეთილო პროცესისადმი.

გ) კლასგარეშე აქტივობები აძლიერებს შინაგან მოტივაციას და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში.

დ) კლასგარეშე აქტივობების შედეგად მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის იშლება ფორმალური ზღვარი, რაც ართულებს სასწავლო პროცესის მართვას.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 6

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა.

აქტივობა: ბიოლოგიის მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება უჯრედის, როგორც სიცოცხლის ელემენტარული ერთეულის შესახებ; თვითონ მომდევნო გაკვეთილისათვის მოამზადა სადისკუსიო თემა შესაბამისი კითხვებით და გაკვეთილიც ამის მიხედვით ააგო.

მასწავლებლის აქტივობა დასახული მიზნის:

ა) **ადეკვატურია.** მოსწავლის მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეკითხვებზე პასუხის გაცემა მისგან მოითხოვს მასალის სიღრმისეულ წვდომას, რაც ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.

ბ) **არ არის ადეკვატური.** მოსწავლის მიერ მასალის დამოუკიდებლად მოძიება დროის არაეფექტიანი ხარჯვაა, კომპიუტერთან გატარებული დრო ავითარებს მხოლოდ მისი მოხმარების ჩვევებს და არა - სააზროვნო უნარებს.

გ) **ადეკვატურია**. მოსწავლეს განუვითარდება დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, გაეზრდება პასუხისმგებლობის განცდა, რაც აუცილებელია მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებისათვის.

დ) **არ არის ადეკვატური.** მოსწავლეს გაუჭირდება დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, მოითხოვს დახმარებას მშობლებისგან და ინფორმაციას მიიღებს ძალისხმევის გარეშე, რაც ვერ დაეხმარება მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაში.

დავალება 7

პერკინსის თეორიის მიხედვით, სწავლების პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა არის ის, რომ მოსწავლეებს უჭირთ ცოდნის შენარჩუნება – გამოკითხვის დროს ისინი მეტ-ნაკლებად ახერხებენ ნასწავლის დემონსტრირებას, თუმცა ხანმოკლე დროის შემდეგ მასალის დიდი ნაწილი აღარ ახსოვთ.

პერკინსის თეორიის თანახმად, **ყველაზე მეტად** რომელი რეკომენდაციის გათვალისწინებით შეუწყობს ხელს მასწავლებელი მოსწავლეებს ნასწავლის ხანგრძლივად დამახსოვრებაში?

ა) სწავლება პირველ ეტაპზე ორიენტირებული უნდა იყოს ინფორმაციის დაგროვებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ – მის გაგებასა და გააზრებაზე.

ბ) სწავლება საკითხის ნაწილებად დაყოფისა და მათზე ხანგრძლივი ფოკუსირების პრინციპზე უნდა იყოს აგებული.

გ) სასწავლო პროცესი საკითხის სიღრმისეულ გაგება-გააზრებასა და ნასწავლის აქტიურ გამოყენებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

დ) სასწავლო პროცესი სპონტანურად უნდა წარიმართოს – მონიტორინგისა და მიმდინარე შეფასებების გარეშე.

დავალება 8

მასწავლებელმა ცოდნის შესამოწმებლად შეკითხვა იმგვარად უნდა დასვას, რომ მან დადებითად იმოქმედოს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის მოტივაციაზე.

კითხვის დასმის რომელი სტრატეგია/სტრატეგიები აისახება **დადებითად** მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციაზე?

I. მასწავლებელი შეკითხვით ყველა მოსწავლეს თანაბარი სიხშირით მიმართავს.

II. მასწავლებელი კითხვებს სვამს გარკვეული ლოგიკისა და თანმიმდევრობის დაცვით.

III. მასწავლებელი დროს იგებს და დაუყოვნებლად გადადის ერთი შეკითხვიდან მეორეზე.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 9



ჩამოთვლილთაგან, მოცემულ სქემაში, რომელი ცნების ჩაწერა **არ** იქნებოდა მართებული კითხვის ნიშნის ნაცვლად?

ა) მიმღებლობა

ბ) ლმობიერება

გ) სიბრალული

დ) თანაგრძნობა

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 10

ლექციური, ანუ ფრონტალური გაკვეთილი მასწავლებელს ზოგჯერ პრეზენტაციიდან კითხვა-პასუხის რეჟიმში გადაჰყავს და ცდილობს, ამგვარად მიაღწიოს მოსწავლეთა ჩართულობას.

მასწავლებლის მიერ დასმულ რომელ კითხვაში/კითხვებში არის აღწერილი მოსწავლისა და მასწავლებლის იმგვარი ინტერაქცია, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას?

I. დაფიქრდით, რა დადებითი შედეგი შეიძლება მოუტანოს კრიზისულმა სიტუაციამ სახელმწიფოს?

II. გაიხსენეთ, რა არის ის კითხვა, რომელსაც ნებისმიერი პატრიოტი ადამიანი საკუთარ თავს უნდა უსვამდეს?

III. თქვენი აზრით, რამ შეიძლება გამოიწვიოს პატრიოტი ადამიანის ნეგატიური დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ?

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 11

მოსწავლეთა შეფასების ერთ-ერთი ფორმაა **განმსაზღვრელი** შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა იცოდეს, თუ როდის და რა კონკრეტული მიზნისთვის უნდა გამოიყენოს შეფასების ეს ფორმა.

ჩამოთვლილთაგან რომელ მიზანს/მიზნებს ემსახურება განმსაზღვრელი შეფასება?

I. აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ამის საფუძველზე აძლევს მას რეკომენდაციას.

II. ამოწმებს სწავლისა და სწავლების შედეგებს, ზუსტად აფასებს მოსწავლეთა მიღწევებს და შედეგზეა ორიენტირებული.

III. აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მიზნებთან მიმართებით.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 12

ჩამოთვლილთაგან რომელია უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ქცევის **ყველაზე ეფექტიანი** განმამტკიცებელი?

ა) მოსწავლის დაჯილდოება - სტიკერის, სერტიფიკატის, პრიზის გადაცემა.

ბ) ჯგუფის მიერ აღიარება - თანაკლასელების მიერ მოსწავლის წარმატების აღნიშვნა.

გ) ქცევითი განმტკიცება - სასურველი საქმიანობისათვის თავისუფალი დროის მიცემა.

დ) სოციალური განმტკიცება - თანატოლებთან ურთიერთობისათვის დროის გამოყოფა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 13

მასწავლებლები, პროფესიული განვითარების მიზნით, ხშირად იკრიბებიან. ისინი მსჯელობენ და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.

მასწავლებლების მიერ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელი ასახავს კონსტრუქტივისტულ მიდგომას?

ა) „გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ბავშვები უფრო ინტერესდებიან, როდესაც სახელმძღვანელოსთან ერთად სხვა წყაროებიდანაც ვაწვდი ინფორმაციას“.

ბ) „ვფიქრობ, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს მასალა უნდა მიაწოდოს კარგად დამუშავებული, უკვე დასრულებული სახით“.

გ) „ჩემი აზრით, სკოლაში მოსწავლეთა წარმატებას რომ მივაღწიოთ, მნიშვნელოვანია არსებული სასწავლო პროგრამის ზედმიწევნით შესრულება“.

დ) „როდესაც მოსწავლეებს რთულ დავალებებს ვაძლევ, ისინი ერთმანეთს ეხმარებიან და თანამშრომლობის გზით სწორ პასუხამდე მიდიან“.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 14

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი კომენტარია **ნაკლებად** ეფექტიანი?

ა) „კარგია, დავალება რომ მოიტანე, აბა, კიდევ გადაამოწმე, ყველაფერი სწორად არის შესრულებული?“

ბ) „ყოჩაღ, რომ შეასრულე დავალება. შეგიძლია მითხრა, რატომ ფიქრობ ასე, რა არგუმენტები გაქვს?“

გ) „ყოჩაღ, დავალება რომ გაქვს, მაგრამ შეცდომა შევამჩნიე და იქნებ კიდევ ერთხელ გადახედო.“

დ) „კარგია, ძალიან მომეწონა შენი დავალება. ჭკვიანი ბავშვი ხარ და ასე გააგრძელე მუშაობა.“

დავალება 15

ნებისყოფა ეხმარება მოსწავლეს საკუთარი ქცევის მართვასა და სხვადასხვა წინააღმდეგობის დაძლევაში.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის/პირობების დაცვაა აუცილებელი იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ მოსწავლეს ნებისყოფის გამომუშავებაში?

I. შევუქმნათ მოსწავლეს სათანადო პირობები, რათა მან თავად მიაღწიოს შედეგს და განიცადოს წარმატებით გამოწვეული სიხარული.

II. შევუწყოთ ხელი მოსწავლის დამოუკიდებლობას და გავუღვივოთ რწმენა, რომ თავად შესწევს უნარი, დაძლიოს წინააღმდეგობები.

III. გავითვალისწინოთ მოსწავლის ასაკი - დაწყებითი კლასის მოსწავლე არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი დამოუკიდებლად მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 16

კვლევების საფუძველზე დასტურდება, რომ მოსწავლის აკადემიური წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა სკოლის ცხოვრებაში მშობელთა აქტიური ჩართულობა და მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება.

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაციის/რეკომენდაციების გათვალისწინება არის აუცილებელი მშობელთან მასწავლებლის ეფექტიანი კომუნიკაციის ხელშესაწყობად?

I. მშობელს ხშირად უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია, შეფასებები შვილის პროგრესის შესახებ, გაუზიაროთ მომავლის გეგმები და საგანმანათლებლო სიახლეები.

II. ეცადეთ, შეიკავოთ თავი მოსწავლის ცოდნისა და ქცევის დაუსაბუთებელი შეფასებისგან, ამით მშობლის განაწყენებას თავიდან აირიდებთ და შეინარჩუნებთ მასთან კარგ ურთიერთობას.

III. როდესაც მშობელს შვილზე ესაუბრებით, საუბარი ყოველთვის მოსწავლის თანდასწრებით წარმართეთ, რათა თქვენს შორის ურთიერთობაში არ წარმოიშვას რაიმე გაუგებრობა.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და II
გ) მხოლოდ II და III
დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 17

სასწავლო პროცესში მასწავლებლები ხშირად იყენებენ მულტიმედია-რესურსს.

ჩამოთვლილთაგან რომელია ის მნიშვნელოვანი უპირატესობა, რის გამოც მასწავლებელმა არჩევანი რესურსის ამ სახეობის გამოყენებაზე უნდა შეაჩეროს?

ა) მულტიმედია-რესურსი არ საჭიროებს სხვადასხვა მედია-საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის შეჯერებას და დადებით ეფექტს ახდენს აუდიტორიაზე.

ბ) მულტიმედია-რესურსი მნიშვნელოვნად ააქტიურებს აუდიტორიის მიერ ინფორმაციის მიღება-გადამუშავებას და აიოლებს მასალის დამახსოვრებას.

გ) მულტიმედია-რესურსი არ საჭიროებს მასწავლებლის, როგორც ფასილიტატორის ჩარევას და უადვილებს მოსწავლეს ინდივიდუალურად მუშაობას.

დ) მულტიმედია-რესურსი უზრუნველყოფს მოსწავლეს მაქსიმალურად სრულყოფილი ინფორმაციით, ზოგავს კვლევისა და მასალის მოძიებისათვის განკუთვნილ დროს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 18

ცხრილის A სვეტში წარმოდგენილია მასწავლებლის ქმედებები, ხოლო B სვეტში - უნარები, რომელთა განვითარებასაც ისინი ხელს უწყობს. შეუსაბამეთ ქმედება და უნარი ერთმანეთს.

ქმედება (A)	უნარი (B)
I. მასწავლებელმა მოსწავლეებს აარჩევინა თემა და ამ თემაზე მოთხრობის დაწერა დაავალა.	ა) კრიტიკული აზროვნება ბ) ინფორმაციის დახარისხება გ) შემოქმედებითი აზროვნება დ) გაგება
II. მასწავლებელმა მოსწავლეებს დაურიგა რამდენიმე თხზულება, სთხოვა, გამოეხატათ საკუთარი მოსაზრებები და განემტკიცებინათ ისინი არგუმენტებით.	
III. მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, რომ ემსჯელათ ახლად შესწავლილი ნაწარმოების დედააზრზე.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 19

ცხრილის B სვეტში მოცემულია სწავლისა და განვითარების თეორიების ავტორები, ხოლო A სვეტში ასაკისთვის დამახასიათებელი ის თავისებურებები, რომელთა გათვალისწინებასაც ამ ავტორთა აზრით არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის გარდამავალი ასაკის სირთულეების დასაძლევად. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

	თავისებურება (A)	**ავტორი (B)**
I.	მოზარდებში თავს იჩენს განსხვავებული სახის ეგოცენტრიზმი - საკუთარი უნიკალურობის განცდით და სურვილით რომ გამოირჩეოდნენ სხვებისგან.	ა) პიაჟე ბ) სკინერი გ) კოლბერგი დ) მონტესორი
II.	მოზარდისათვის მნიშვნელოვანია, ავტორიტეტის მქონე პირებს ასიამოვნოს და მათზე კარგი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვოს.	
III.	მოზარდის ორგანიზმი სწრაფად იზრდება, მიმდინარეობს ჰორმონალური ცვლილებები, ამიტომ მას დასვენება და ნაკლები ინტელექტუალური დატვირთვა სჭირდება.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 20

ცხრილის A სვეტში წარმოდგენილია საშინაო დავალების ნიმუშები, B სვეტში - მისი ტიპები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

	საშინაო დავალების ნიმუში (A)	**დავალების ტიპი (B)**
I.	ისტორიის მასწავლებელი კლასს XII საუკუნის საქართველოს კულტურაზე ესაუბრა და სთხოვა, გაცნობოდნენ მხატვრულ ლიტერატურას, რომელშიც ეს ეპოქა იყო აღწერილი.	
II.	მასწავლებელმა სთხოვა მოსწავლეებს განვლილი მასალიდან საკითხების შერჩევა და მათი დაკავშირება ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან.	ა) პრაქტიკული ბ) მასალის გაღრმავების
III.	მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა მათთვის საინტერესო თემების არჩევა, მათ შესახებ არსებული ინფორმაციის მოძიება და დეტალურად ასახსნელად მასწავლებლისთვის შეთავაზება.	
IV.	ქიმიის მასწავლებელმა მოსწავლეებს წყალი აუხსნა, შემდეგ კი სთხოვა, მომდევნო გაკვეთილისთვის სახელმძღვანელოსა და სხვა წყაროების გამოყენებით მოეპოვებინათ ინფორმაცია მცენარეული და ცხოველური სამყაროსათვის წყლის ბიოლოგიური მნიშვნელობის შესახებ.	გ) მოსამზადებელი

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	39.1	39.2	39.3	40	41			

ინსტრუქცია

ღიადაბოლოებიანი დავალება თქვენგან მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 21

მაქსიმალური ქულა - 4

ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამები და გამჭოლი კომპეტენციები იძლევა ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების საშუალებას. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებს ესმოდეთ ინტეგრირებული გაკვეთილის არსი, იცოდნენ, რისი გათვალისწინებაა აუცილებელი მისი ეფექტიანად გამოყენებისათვის.

- აღწერეთ ორი წინაპირობა, რომელიც უნდა გაითვალისწინონ მასწავლებლებმა ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვის დროს.
- ახსენით, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების გარდა, კიდევ რა უპირატესობა აქვს ინტეგრირებულ გაკვეთილს. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

პედაგოგი უნდა ზრუნავდეს არა მარტო მოსწავლის კოგნიტური უნარების განვითარებაზე, არამედ ისეთი პიროვნების აღზრდაზე, რომელიც საკუთარ წვლილს შეიტანს საზოგადოების განვითარებასა და კეთილდღეობაში, რადგან სასკოლო განათლების სისტემის მიზანი არის განათლებული და, ამავდროულად, სამოქალაქო ღირებულებებით აღჭურვილი ახალგაზრდების აღზრდა.

ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში ვაჟა-ფშაველა ასე გამოხატავს საკუთარ პოზიციას განათლებისა და მისი თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი ფასეულობების მიმართ:

„...შვილს იმიტომ ასწავლიან მშობლები, „მოხელე" გამოვიდეს. რაც უფრო დიდ ჯამაგირიან ადგილს იშოვის იმათი შვილი, მით მშობლებიც და შვილიც მომეტებულად ბედნიერია. რაკი სწავლას ასეთი კომერციულის თვალით უცქერიან, რა თქმა უნდა, იმას ამისთანა ხალხის თვალში საკუთარი ძალა და ღირსება დაკარგული აქვს: ოღონდ ჯამაგირი აიღე, და თუნდ ინჩიც არ იცოდე, არაფერი უშავსო. აქ ისიც იგულისხმება: მხოლოდ თავის თავს კი არგე, ჯანდაბას ქვეყანაც და მისი სატკივარიო. რის მაქნისია უსწავლელი, უბირი ადამიანი? რას არგებს ის ქვეყანას, თუ კი თვალები ახვეული ექნება?"

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

- აღწერეთ ერთი აქტივობა, რომელიც მოსწავლეებს სწავლის მნიშვნელობის უკეთ გააზრებაში დაეხმარება. *პასუხი დაასაბუთეთ.*
- აღწერეთ ერთი აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალი მოქალაქეობრივი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობით აღჭურვილი, სოციალურად აქტიური ახალგაზრდების აღზრდას. *პასუხი დაასაბუთეთ.*

გაითვალისწინეთ: *ხშირად პედაგოგებს მიაჩნიათ, რომ საზოგადოებრივ, საქვეყნო ფასეულობებზე* ***საუბარი*** *საკმარისია სამოქალაქო ღირებულებებით აღჭურვილი ახალგაზრდების აღზრდისათვის; საუბარი, რა თქმა უნდა, ამ პროცესის მნიშვნელოვანი, თუმცა, არასაკმარისი კომპონენტია. აღწერეთ ნებისმიერი სხვა აქტივობა, რომელიც დაეხმარება პედაგოგს დასახული მიზნის მიღწევაში.*

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

დავალება 23

მაქსიმალური ქულა - 3

გაეცანით ამონარიდს:

„იმ ამხანაგებისთვის, რომლებთანაც თამაშით ვიქცევდი თავს, მხოლოდ შესვენების დროს თუ ვარსებობდი, გაკვეთილზე ჩემთან მეგობრობა ეთაკილებოდათ. ჩემი სანუკვარი ოცნება იყო, გავრეულიყავი ბანდაში, სადაც ჩემს სასკოლო ცხოვრებას არანაირი ყურადღება არ მიექცეოდა. იცით, რა იყო ასეთი ბანდის მთელი ხიბლი? ის, რომ მარაქაში გარევით საკუთარი თავის გამოჩენისა და გამოვლენის განცდა მეუფლებოდა“.

(დანიელ პენაკი „სკოლის სევდა“)

– როჯერსის თეორიაზე დაყრდნობით აღწერეთ, **რა** განაპირობებს მოსწავლის „სანუკვარ ოცნებას“ და განმარტეთ, რატომ არის **ეს** ასე მნიშვნელოვანი. *დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალებები 24-28 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

ინტერნეტსივრცეში ერთ-ერთი სოციალური ქსელის მომხმარებელმა პედაგოგებმა განათლების სფეროს სიახლეების გასაცნობად შექმნეს ღია ჯგუფი. ჯგუფმა პოპულარობა მოიპოვა მშობლებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს შორისაც – გაჩნდა შესაძლებლობა, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა არა მხოლოდ მიიღოს საჭირო ინფორმაცია, არამედ სხვებსაც გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და გამოცდილება, დასვას კითხვები.

ქვემოთ წარმოდგენილია სოციალურ ქსელში განთავსებული რამდენიმე წერილი. ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ თითოეულ წერილში აღწერილი პრობლემის არსი.

თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს დავალებაში წარმოდგენილი პრობლემის არსს.

თითოეული დავალება (24-28) შეასრულეთ იმ კითხვის/მითითების მიხედვით, რომელიც დავალებას თან ახლავს და **პასუხი დაასაბუთეთ.**

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა არის 3.

პროფესიული განვითარება - ვიდეოჩანაწერის ანალიზი

თამარ სიდამონიძე

ვიცი, რომ მნიშვნელოვანია პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ჩემი კოლეგა თვითშეფასებისთვის საკუთარი გაკვეთილის ვიდეოჩანაწერს იყენებს. საინტერესო იდეად მიმაჩნია, თუმცა, ბევრს ვფიქრობ, გამოვიყენო თუ არა.

მაინტერესებს, რა უპირატესობა აქვს გაკვეთილის ვიდეოჩანაწერის გამოყენებას თვითშეფასების სხვა ფორმებთან შედარებით.

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • გუშინ, 17:32-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება

ნათელა ჯაფარიძე

ერთხელ კრებაზე მშობლებმა მისაყვედურეს, რომ მათი შვილები მივაჯაჭვე სახელმძღვანელოს და არ ვიყენებ აქტივობებს, რომლებიც მისცემს მათ დამოუკიდებლად აზროვნების შესაძლებლობას. მიმაჩნია, რომ სახელმძღვანელო ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, დამხმარე მასალებისა და ლიტერატურის გამოყენებაზეც არასოდეს მითქვამს უარი; როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისათვის.

იქნებ აღწეროთ ერთი სტრატეგია, რომელიც დამეხმარება მოსწავლეებისათვის დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაში.

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 11:26-ზე

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

გაკვეთილის მიზანი

რევაზ ბერიძე

ყოველი გაკვეთილისთვის საგანგებოდ ვემზადები - ვარჩევ თემას, ვაყალიბებ გაკვეთილის მიზანს, რომელიც, როგორც ჩემი კოლეგები მეუბნებიან, თურმე მოსწავლეებს ყოველ ჯერზე უნდა გავაცნო. კარგად მესმის, რომ მიზნის გამოკვეთა მნიშვნელოვანია, მაგრამ ვერ ვხვდები, რატომ არის აუცილებელი ყოველ გაკვეთილზე მოსწავლეებისთვის მიზნების გაცნობა.

იქნებ ამიხსნათ, რა ფორმით უნდა მოხდეს მოსწავლეებისათვის მიზნის გაცნობა და რატომ არის ეს ასეთი მნიშვნელოვანი?

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 17:27-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

ინკლუზიური სწავლება

მანანა დარასელია

ჩემი შვილი სპეციალური საჭიროების მქონეა, ეტლით გადაადგილდება და ჩვეულებრივ სკოლაში დადის. მასწავლებელი და, მისი დარიგებით, მოსწავლეებიც გადაჭარბებულ ყურადღებას იჩენენ მის მიმართ, რაც მე ძალიან მომწონს, თუმცა, ვატყობ, რომ ჩემს შვილს ეს არ სიამოვნებს.

პედაგოგების აზრი მაინტერესებს, რაიმე ზიანს ხომ არ მოუტანს ჩემს შვილს ასეთი გადაჭარბებული მზრუნველობა?

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 16:32-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

დავალება 28

ცოდნის ტრანსფერი

გიორგი ჩადუნელი

ვცდილობ, მასალა სიღრმისეულად ავხსნა, მას ხშირად მივუბრუნდე, რათა მოსწავლეებს არ დაავიწყდეთ და როცა დასჭირდებათ, შეძლონ მისი პრაქტიკაში გამოყენება. ამის მიუხედავად, შემიმჩნევია, რომ წარმატებული მოსწავლეებიც კი პრობლემების გადაჭრის დროს იბნევიან და უჭირთ ცოდნის პრაქტიკაში გადატანა.

რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმისათვის, რომ მოსწავლეებს ცოდნის ტრანსფერი გაუადვილოს?

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 20:25-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 29

- ***ამ ამოცანას მე ვერ გავაკეთებ, ძალიან რთულია!*** *- ეუბნება მოსწავლე მასწავლებელს.*
- ***სცადე, დაიწყე, სანამდეც შეძლებ, იმუშავე, მერე მე დაგეხმარები,*** *- პასუხობს მასწავლებელი.*

მასწავლებელი იყენებს:

ა) პოზიტიურ განმტკიცებას

ბ) ცდისა და შეცდომის მეთოდს

გ) სოკრატულ სწავლებას

დ) სკაფოლდინგის მეთოდს

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 30

მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის მიცემული რომელი რჩევა იქნება **ნაკლებად ეფექტიანი** მათი თვითშეფასების გასაუმჯობესებლად?

ა) ურჩიოს მოსწავლეებს ჩანაწერების და დღიურების წარმოება, რაც მათ საშუალებას მისცემს, დააკვირდნენ საკუთარ პროგრესს.

ბ) ურჩიოს მოსწავლეებს, ინდივიდუალურად შეხვდნენ მასწავლებელს, რათა მასთან ერთად გააანალიზონ თავიანთი წარმატებები და პრობლემები.

გ) აუხსნას მოსწავლეებს კონკურენციის მნიშვნელობა, რათა ისინი ორიენტირებული იყვნენ თავიანთი საქმის კარგად შესრულებაზე.

დ) აუხსნას მოსწავლეებს საკუთარი და თანატოლთა ნამუშევრების შეფასების პრინციპები, რათა მათ უკეთ დაინახონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 31

დისკუსიებისა და დებატების დროს მოსწავლეთა შორის წარმოიშობა ხოლმე ინტელექტუალური ან ღირებულებითი კონფლიქტი.

ინტელექტუალური ან ღირებულებითი კონფლიქტის მოგვარების დროს დადებითი შედეგის მისაღწევად აუცილებელია მასწავლებლის მიერ გარკვეული გარემოების/გარემოებების გათვალისწინება:

I. რაც მეტად გრძნობს მოსწავლე თავისი პოზიციების სისუსტეს, მით უფრო იხევს უკან, პასიურობს და ადვილად მიდის ნებისმიერ დათმობაზე.

II. როცა თანაკლასელები გამოთქვამენ საწინააღმდეგო მოსაზრებებს, შესაძლებელია, მოსწავლემ ეჭვი შეიტანოს საკუთარი პოზიციის სისწორეში.

III. შესაძლოა, მოსწავლემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის დროსაც გადააფასოს თავისი შეხედულებები და უფრო მნიშვნელოვანი არგუმენტები მოიძიოს.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და II
გ) მხოლოდ II და III
დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 32

ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა ასახავს **ბიჰევიორისტული** თეორიის არსს?

ა) მოსწავლე მოქმედების გამეორების შედეგად შეცდომებს აღარ უშვებს და მის შესრულებას ნაკლებ დროს ანდომებს.

ბ) მოსწავლე ავლენს პოზიტიურ თვისებებს მხოლოდ გულწრფელ, უპირობოდ კეთილგანწყობილ გარემოში.

გ) მოსწავლე გარემოსთან ადაპტაციის პროცესში ცვლის თავისი ქცევისა და აზროვნების შესაბამის სქემებს.

დ) მოსწავლე აკვირდება თანაკლასელისა და მასწავლებლის ქცევებს და იძენს მათგან ახალ თვისებებს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 33

მასწავლებელმა მოსწავლეებს პორტფოლიოს შედგენა დაავალა და ამ პროცესში მშობლებიც ჩართო. ერთ-ერთმა მშობელმა შვილს ურჩია, პორტფოლიოში ჩასადებად მხოლოდ კარგი ნამუშევრები შეერჩია.

მშობლის მიერ შვილისთვის მიცემული რჩევა:

ა) **მართებულია,** რადგან ამ შემთხვევაში მასწავლებელი დარწმუნდება, თუ რა მონდომებით იშრომა მოსწავლემ სემესტრის ან წლის განმავლობაში და, შესაბამისად, ის უკეთეს შეფასებას დაიმსახურებს.

ბ) **არ არის მართებული,** რადგან პორტფოლიო უნდა ასახავდეს მოსწავლის განვითარებას, ამიტომ ის დაუსრულებელ და საპილოტე ნამუშევრებსაც უნდა მოიცავდეს.

გ) **მართებულია,** რადგან პორტფოლიო აფასებს მოსწავლის არა მარტო ცოდნას, არამედ იმ უნარსაც, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ნაშრომების ადეკვატურ შეფასებასა და მათგან საუკეთესოს შერჩევას.

დ) **არ არის მართებული,** რადგან პორტფოლიოში მოსათავსებელი ნამუშევრების რაოდენობა წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეს, შესაძლოა, არ ჰქონდეს საკმარისი რაოდენობის კარგი ნამუშევარი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 34

მოსწავლეებთან ეფექტიანი კომუნიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მასწავლებლის სამეტყველო ენა. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება/მოსაზრებები **არ არის** მართებული?

I. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი იყენებდეს საგანთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, რომ მოსწავლეებსაც გაუადვილდეთ მათი გამოყენება.

II. მთავარია, მასწავლებლის სამეტყველო ენა იყოს მარტივი და არ შეიცავდეს უცნობ სიტყვებს, რომ მოსწავლეებმა ადვილად გაიგონ ნათქვამის არსი.

III. მასწავლებელი ახალ ცნებას ყოველთვის უნდა უკავშირებდეს მოსწავლეთათვის ნაცნობ თემებს, მათ გამოცდილებას, რომ მისი მნიშვნელობა კარგად გაიაზრონ.

ა) მხოლოდ I და II

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 35

რომელი მასწავლებელი გაუღვიძებს **ყველაზე მეტად** მოსწავლეს შინაგან მოტივაციას?

ა) მასწავლებელი, რომელიც ქმნის ჯანსაღი კონკურენციის გარემოს და ადგენს მოსწავლეთა ობიექტურ რეიტინგს.

ბ) მასწავლებელი, რომელიც ერთნაირად მუშაობს მთელ კლასთან და არ გამოყოფს მოსწავლეებს ერთმანეთისაგან.

გ) მასწავლებელი, რომელიც მონიტორინგს უწევს მოსწავლეთა სწავლის შედეგებს და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე.

დ) მასწავლებელი, რომელიც საკლასო ოთახში ქმნის გარემოს, სადაც მოსწავლე თავდაჯერებული და რეალიზებულია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 36

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობაში **არ არის** გათვალისწინებული მონტესორის სკოლის პრინციპები?

ა) სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია ისეთი დავალებები, რომლებიც მოითხოვს პრობლემის გადაჭრისათვის ახალი გზის პოვნას ან საამისოდ სხვა მასალის გამოყენებას.

ბ) კლასის სივრცე ისეა ორგანიზებული, რომ ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ მოძრაობა დავალებისა და საჭირო მასალის შესარჩევად, ჯგუფური აქტივობებისათვის.

გ) პროგრამა ისეა აგებული, რომ სწავლების პროცესში ცენტრალურია მასწავლებლის როლი და მისი პოტენციური შესაძლებლობა, გადასცეს მოსწავლეებს ცოდნა.

დ) სხვადასხვა სირთულის დავალებები წინასწარ არის მომზადებული სასწავლო გეგმის მიხედვით და მოსწავლე ირჩევს მისთვის სასურველს.

დავალება 37

პედაგოგმა კლასის ლაშქრობაში წაყვანა გადაწყვიტა. მან მოსწავლეებს სთხოვა, კარგად მომზადებულიყვნენ და დაეგეგმათ ლაშქრობა. მასწავლებელს გაუჭირდა ჯგუფის ლიდერის არჩევა.

ჯგუფის ლიდერის არჩევის დროს რომელი გადაწყვეტილების მიღება იქნება მართებული?

ა) „ასეთი აქტივობის დაგეგმვისა და ორგანიზებისათვის ლიდერად გოგონა უნდა ავირჩიო, რადგან უფრო მშვიდი და მოწესრიგებულია“.

ბ) „ასეთი აქტივობის დაგეგმვისა და ორგანიზებისათვის ლიდერად ბიჭი უნდა ავირჩიო, რადგან უფრო ღონიერი და მოხერხებულია“.

გ) „ლიდერად მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლე უნდა ავირჩიო, რადგან საქმეს უფრო პასუხისმგებლობით მოეკიდება“.

დ) „ჯგუფის ლიდერი თავად მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, რადგან თავიანთ არჩეულს უფრო ენდობიან და დაუჯერებენ“.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 38

ბანდურა მიიჩნევს, რომ ადამიანი საკუთარი ქცევის ასახსნელად, მისი გამართლების მიზნით, გარკვეულ მექანიზმებს მიმართავს. ქცევის ახსნის ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია **წარმოდგენების შეცვლა.**

ჩამოთვლილთაგან მოსწავლის მიერ საკუთარი ქცევის რომელი ახსნა არის წარმოდგენების შეცვლის ნიმუში?

ა) საწყენი არაფერი გამიკეთებია. როგორც ჩანს, ხუმრობა არ ესმის.

ბ) მე აქ არაფერს ვწყვეტ, რასაც დამავალებენ, იმას ვაკეთებ, სხვა გზა არ მაქვს.

გ) ჩემი მეგობრის დასაცავად, არათუ სიტყვიერი შეურაცხყოფა, ჩხუბიც შემიძლია.

დ) მე რა შუაში ვარ, თუ გადაწყვეტილება ჯგუფმა მიიღო, პასუხი მე რატომ უნდა ვაგო?!

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

ინსტრუქცია

დავალებებს 39.1, 39.2 და 39.3 უპასუხეთ მოცემული ტექსტის მიხედვით:

39.1 - დავალება არჩევითპასუხიანია და 1 ქულით ფასდება.

39.2 და 39.3 - დავალებები ღიადაბოლოებიანია. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა (ტექსტი) და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა - 3.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 39

სახელმწიფო შეფასების ფარგლებში სასკოლო კლიმატის კვლევამ მოსწავლის მიღწევებს, სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობასა და ბულინგის დონეს შორის უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინა. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლაში ბულინგი ამცირებს მოსწავლის სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობას, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად მოქმედებს მის აკადემიურ მიღწევებზე. კვლევების მიხედვით, სასკოლო ბულინგი მიღწევის დონის გაუმჯობესების, პროსოციალური უნარების განვითარებისა და ზოგადი კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანი ბარიერია როგორც მსხვერპლის, ასევე მჩაგვრელის შემთხვევაში.

ბულინგი მნიშვნელოვანი პრობლემაა სკოლებში. ის გავლენას ახდენს როგორც მოსწავლეთა მიღწევებზე, ისე მათ ფსიქოლოგიურ განვითარებასა და მომავალ წარმატებაზე. ყოველივე აქედან გამომდინარე, დგება ისეთი აქტივობების განხორციელების აუცილებლობა, რომლებიც შეამცირებს ბულინგის შემთხვევებს და ხელს შეუწყობს პოზიტიური სასკოლო კლიმატის ფორმირებას. ბულინგის აღმოფხვრისაკენ მიმართულმა პროგრამებმა და შემდგომში მათი ეფექტიანობის კვლევებმა დაადასტურა, რომ კლასიკური მიდგომა, რაც ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას გულისხმობს, არ აღმოჩნდა შედეგიანი. ამასვე მოწმობს ამ პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად ამერიკაში ჩატარებული კვლევებიც, რომელთა თანახმად:

- შემცირდა აკადემიური მიღწევების დონე და გაიზარდა დაბალი მიღწევების რისკი (Skiba & Rausch, 2006; Sundius & Farneth, 2008), ასევე გაიზარდა სკოლის გაცდენის მაჩვენებელი (Sundius & Farneth, 2008);

- გაიზარდა მოსწავლეების გარიცხვისა და სტატუსის შეჩერების რიცხვი (Southern Poverty Law Center, 2009);
- მოსწავლის გარიცხვის ან სტატუსის შეჩერების ფაქტი ზრდის ალბათობას, რომ გაიზრდება მოსწავლის არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრის რისკი (Hietzeg და სხვ., 2009; Sundius & Farneth, 2008);

ნათელია, რომ დგას ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ალტერნატიული მიდგომის საჭიროება, რაც სკოლის კლიმატის გაუმჯობესების კვალდაკვალ გაზრდის სკოლის უსაფრთხოებას, თუმცა, ეს არ მოხდება სხვა მნიშვნელოვანი შედეგების ხარჯზე. ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის საზოგადოებრივი ინტერესების აღმასრულებელი დირექტორი სტატიაში – „გავაუმჯობესოთ სასკოლო კლიმატი იმისათვის, რომ შევამციროთ ის რისკები, რომელთა წინაშეც მოსწავლეების ჯანმრთელობა დგას“ – ყურადღებას ამახვილებს ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: ბულინგისა და აგრესიის პრევენცია, სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობისა და მოსწავლეების შეკავშირებულობის გაუმჯობესება.

დასჯის პრაქტიკის შეცვლითა და მოსწავლეებს შორის სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებით მნიშვნელოვან ნაბიჯს ვდგამთ დასახული მიზნის მისაღწევად (Gregory და სხვ., 2010).

(„სახელმწიფო შეფასება, საბუნებისმეტყველო საგნები (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მე-9 კლასი“, ანგარიში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2016)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 39.1

ტექსტში აღწერილი კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

ა) ბულინგის დონესა და მოსწავლეთა მიღწევებს შორის კავშირი იმდენად მცირეა, რომ მიღწევის დონის გაუმჯობესებისათვის სერიოზულ ბარიერად ბულინგს ვერ მივიჩნევთ.

ბ) სასკოლო კლიმატის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომლის მიღწევაც ზეგავლენის ნებისმიერი ხერხით არის დასაშვები.

გ) ბულინგის პრევენციისათვის ნულოვანი ტოლერანტობის შედეგიანი ალტერნატივა არის მოსწავლეებს შორის სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობის გაღვივება.

დ) ბულინგის აღმოფხვრისაკენ მიმართული კლასიკური მიდგომის შედეგად მცირდება ის რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მოსწავლეების ჯანმრთელობას.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 39.2

მაქსიმალური ქულა - 3

– მასლოუს ჰუმანისტურ თეორიაზე დაყრდნობით ახსენით, რატომ შეიძლება მოჰყვეს მოსწავლისათვის სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობის გაღვივებას დადებითი შედეგი - ბულინგის შემთხვევების შემცირება. *დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

დავალება 39.3

მაქსიმალური ქულა - 3

– დაასახელეთ და აღწერეთ სოციალური უნარების განვითარების ერთი სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს კლასში უსაფრთხო გარემოს შექმნას. *დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 40

მაქსიმალური ქულა - 3

პერკინსი თავის თეორიაში განიხილავს სწავლების სამ სხვადასხვა მეთოდს, რომელთა გამოყენება მნიშვნელოვანია ეფექტიანი სწავლებისათვის. მათგან ერთ-ერთი მეთოდია სოკრატული სწავლება.

- აღწერეთ მეთოდი - სოკრატული სწავლება.
- პერკინსის თეორიის მიხედვით დაასაბუთეთ მოცემული მეთოდის მნიშვნელობა ეფექტიანი სწავლებისათვის.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41

სწავლების ეფექტიანობის ასამაღლებლად მასწავლებლები ხშირად იყენებენ სხვადასხვა ტიპის კოგნიტურ სქემებს. ერთ-ერთი ასეთი სქემაა ცნებათა რუკა (იხ. ნახაზი), რომლის გამოყენებაც მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს.



- რა შემთხვევაში გამოიყენება ცნებათა რუკა და რატომ?
- დაასახელეთ, მოსწავლის ერთი უნარი, რომლის განვითარებასაც უწყობს ხელს ცნებათა რუკის გამოყენება. *დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 39.1 39.2 39.3 40 41